





გოთსოვით

ხველა მალაზიზაზი, კიოსკაზი რისტო-რაზიზი, კაფე ზანტანაზი და ღაზბარაზი.

ახლად გამოქვეყნული

საქართველოს საზოგადოების

პაპიროსები

„გლორია“

„ხმელთა შუა კომერციული ბანკი.“

გინიასტ-მლღის ქარხნის ფირმის პატრონ ს.

შფოთდეს სომხეთის ასეთ უხეშ გას-რესით. ანტანტას თუ ინტერესებს სახელმწიფოებრივი ამიერ კავკასია, მუდამ მასზე მლოცავ სომხეთის წამებას აგრე ყრუდ არ უნდა უმ-ზერდეს. მე XX საუკუნეში სომ-ხეთის ტანჯვა თავდასულ ქემალ-ფა-შის ქუსლით ქვეშ ცივილიზაციის, ევროპის შეურაცყოფა, კაცობრი-ობის სირცხვილია.

ჩვენთვის ეს მეტად საინტერესოა... საქართველო ძაღვებს იკრებს, საქა-რთველო გულწრფელად უსამძიმრებს სომხის ერს ამ ეროვნულ უბედუ-რებას და მთელ თანაგრძნობას მას უზღავენს.

დაე თავდაწირულმა შეგნებულმა ბრძოლამ სომხის ხალხისამ უკუ აქ-ციოს ველური ქემალის ბრძოები და სომხის ერს ასცდეს დაღუბა.

სომხეთის ფრონტი ამიერ კავკა-სიის სახელმწიფოების დასანგრევი ფრონტია და ვისაც ამიერ კავკასი-აში სახელმწიფოური ცხოვრება შეგ-ნებით სწავლია, ის ამ ფრონტის სა-ლიკვიდაციოდ ყოველ შესაძლებელ-ლონის ძიებას უნდა ხმარობდეს. სომხეთის ფრონტი უსაშინელეს ფურცლად ჩაეკერება ამიერ კავკა-სიის ისტორიაში. მცირე ერები უნ-და დააწმენდნენ, რომ მათ არავინ მიეშველება ჟამსა განკითხვისასა და მხოლოდ თავის თავის იმედი უნდა იქონიონ.

ირაკლი.

ქაგალისტავის თავ-დასხვა სომხეთზე.

გას. „პონდელნიკი“ იუწყება: ოსმალები ჯარაგხ თავს უპირან

ერივანიდან თბილის ატყობინებენ, რომ ოსმალები ალექსანდროპოლში (გუბრში) გამაგრების შემდეგ 12 ნო-ემბრამდი შეტევაზე არ გადასულან ერივანის და გუბრის მიმართულებით ცვლილებას არ მოხდარა, სომხეთის ჯარების სარდლობის აზრით ოსმა-ლეთი ჯარებს უყრიან თავს, ქემალ-ლისტების ჯარების რიცხვი 30.000 კაცს უდრის.

სომხეთის ჯარში.

სომხეთი ჯარში პირველ ხანებში გამეფებული პანიკა გაქრა. ჯარის გამოცდილმა ნაწილებმა გადასწვი-ტეს უბრძოლათ მიწის ერთი ნაჭე-რაც არ დაუთმონ ქემალისტებს. მეტად დიდი შთაბეჭდილება დას-ტოვა ჯარის კაცებზე რამდენიმე გა-მოცდილ ოფიცრების თვითმკვლელო-ბამ, რომლებმაც ვერ გადაიტანეს უკან დახვევის სირცხვილი.

სომხეთის მთავრობის ნოტა.

ორი დღის წინათ სომხეთის მთავ-რობამ ნოტა გაუგზავნა მოკავშირე-ებს, რომელშიც აღნიშნული იყო ფრონტზე მომხდარი ამბები და სომ-ხეთის მთავრობის მიერ ქემალისტე-ბის უღელმეტაზე უარის თქმა. ნო-ტაში აღნიშნულია აგრეთვე მოკავ-შირეთა სომხე-ოსმალთა ომში ჩარე-ვის აუცილებლობა.

ბრძოლა ალექსანდროპოლში.

გუბრიდან (ალექსანდრ.) ჩამოსუ-ლი პირი იუწყება, რომ მისი წა-მოსვლის წინ სომხეთის ჯარები გუბრში შეიჭრა და ქ-ჩებში ოსმა-

ლებთან ხელჩართული ბრძოლა გაი-მართა ბრძოლის შემდეგი არ იციან. თბილისში ხმები გავრცელდა, რომ სომხეთის ჯარმა გუბრში უკანვე აიღო.

უკანასკნელი ცნობები.

(სტამბოლიდან).

— ვრანგელის კრახის მოლოდინ-ში ეს მესამე კვირაა რაც აქ არიან ანტანტის მისიები. ჯერ კიდევ ქ-გე-ნიჩესკის აღებაზე ინგლისმა რუსე-თის გარემოცვა დაიწყო.

— ვრანგელისადმი რეალურ დე-ხმარებას დაჟინებით მოითხოვს სა-ფრანგეთი.

— უკრაინას დიდ დახმარებებს ჰპირდებიან ოლონდ კო ის ბოლშე-ვიკებს შეებრძოლოს ოდესის რაიონ-ით.

— მოკავშირეებში ყოყმანია იმის შესახებ თუ რომელი მთავრობა უნ-და იცნან უკრაინის კონსიერ წარ-მომადგენელია.

— ირლანდიამ სრული დამოუკი-დებლობა მოითხოვა.

— ხმებია ვონიზელოსი აბსოლიუ-ტურ უმრავლესობით აირჩიოსო.

— მოკავშირეებს საბერძნეთის შე-სახებ აზრი შეეცვალათ, ისინი სცდი-ლოავენ, რომ ვენიზელოსი არ იქნეს არეული.

— ბოლშევიკები ყირიმში ტყვედ წაყვანილ ვრანგელის უფილ ჯა-რის კაცებს პეტლიურას წინააღმ-დეგ საბძოლად აგზავნიან.

რადიო-ცნობები.

მოსკოვის ცნობა.

ფ რ ა ნ ტ ზ ე.

ლიტინის რაიონში ჩვენი ჯარები წინ მიიწევენ. პროსკუროვის მიმარ-თულეობით რკინის გზის ორ-ვე მხა-რეზე მკაცრი ბრძოლებია.

კამენცკ-პოდოლსკის მიმართულე-ბით ჩვენმა ჯარებმა 14 ნოემბერს ნო-ვოუშიცის დაკავების დროს მდინარე უშიცამდე მიიღწიეს.

სიმფეროპოლის მიმართულეობით უკანასკნელად მიღებულ ცნობების თანახმად ჩვენმა ჯარებმა სიმფერო-პოლი დაიკავე.

ფეოდოსიის მიმართულეობით ჩვენი ჯარები რომლებც მტერს დაედევ-ნენ, მდინარე სალგირზე გავიდნენ.

სადგ. სეიკლერის დაკავების დროს ჩვენ ხელ ვიგდეთ მრავალი სამხედრო მასალა.

ფეოდოსიის აღება.

დამატებითი ცნობებით ყირიმის ნახევარ კუნძულზე წითელმა ცხე-ნოსანმა ჯარმა ფეოდოსია აიღო, სადაც ხელთ იგდო ჯარის 30 სხვა და სხვა ნაწილები და სხვა მრავალი სამხედრო მასალა. ვრანგელის ჯარი დაიშალა და ბრძოლის ველიდან გაქცეული სძარცვავს მჭიდობიან მცხოვრებთ, მათი დევნა გრძელდება. წითლების მხარეზე გადასულ მფორინავის ცნობით ვრანგელმა ბრძა-ნება მისცა თავის ჯარებს დაიშა-ლოს, რადგან მოკავშირეებმა უარი უთხრა მის დახმარებაზე.

13 ნოემბერს ვრანგელის ჯარების მთავარი სარდლობა ყირიმში იმყო-

ვებოდა და ყირიმის წასვლისათვის ემზადებოდა. ძვირფას ბარგს გემებ-ზე ტვირთავდნენ.

სევესტოპოლის, იალტის და ევპა-ტორიის აღება.

ვრანგელი მოვსხეთ და მოგილო-ცავთ ევპატორიაში, იალტაში და სევესტოპოლში საბჭოთა რესპუბლი-კის რევოლიუციონურ დროშების აღმართვას. გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას. მეექვსე კორპუსის უფროსი, რესპ. სამხ. სარგვ. საბჭოს წევრი პიატაკოვი, 16 ნოემბერი №81.

პანიკა ყირიმში.

მოსკოვი 15 ნოემბერი. ყირიმის ნავთსადგურებიდან ყირიმის დამფრ-თხალი ბურჟუაზია გაზბის.

ინგლისი და ვრანგელი.

ინგლისის გაზეთები სწერენ, რომ ინგლისის სამხედრო გემების ყოფნა შავ ზღვაზე არ ნიშნავს. რომ ისინი დაეხმარებიან ვრანგელს. ინგლისის საზღვაო ძალების უფროსმა ბრძანება მისცა ხმელთა შუა ზღვაზე მყოფ ესკადრის უფროს სასტიკი ნეიტრა-ლიტეტი დაიცვას და დაეხმაროს მხოლოდ ლტოლვილებს.

ყირიმის ლიკვიდაცია.

მოსკოვი. 15 ნოემბერი.

უკანასკნელი კვირის განმავლო-ბაში წითელმა ჯარებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს ყირიმის ფრო-ნტზე. მაგრამ ამ გამარჯვებამ არ უნ-და მიანიშნოს ჩვენში სიფრთხილის გრძნობა. ჩვენ უნდა განვაგრძოთ ჩვენი შეტევა შეუჩერებლათ. წი-თელ არმიების ხიშტებმა დეუსევე-ნებლად უნდა არღვიოს მუცელ-სქელა გენერლების მუცლები, წა-თელმა ცხენოსანმა უნდა მოსჭრას თავები ყველა შავრანმელ ოფიც-რებს, იუნკრებს და თეთგვარდიელ-თა ბრძოლებს, რომლებიც სამფერი-ვან დროშის ქვეშ შეკრებილიან.

ქრონიკა.

გუშინ 16 ნოემბერს ბათო-მის ოლქში გამგზავრენ განსაკუთ-რებული რწმუნებულის თანაშემწე პოლკოვნიკი ვ. სულაქველიძე, რო-მელსაც დაკლებული აქვს მოწყობა ადგილობრივი ადმინისტრაციისა, გაე-მგზავრენ აგრეთვე დამფუძნებელი კრების წევრები ისილორე რამიში-ლი, აიღარ აბაშიძე და პოლკოვნი-კი წულუკიძე.

განსაკუთრებულმა რწმუნე-ბულმა დაავალა თავის თანაშემწე ვ. სულაქველიძეს, რათა მან აუწყოს ბათომის ოლქის მცხოვრებლებს, რომ თანახმად მთავრობის დადგენილებისა ყო-ვლივე დანაშაულ ჩადენილი სა-ქართველოს ჯარის მოსვლამდე მათ ევატიათ. დაევალა აგრეთვე: აცნო-ბოს ყველა იმ პირთ ვინც გაქცეუ-ლია და მიუკებელი აქვს სახლკარი, დაუბრუნდეს ოჯახს და თავისი ოჯა-ხური მუშაობა განაგრძოს. ის პირე ბი, ვინც შემჩნეული იქნება რუსი ბოლშევიკის ან თურქი ქემალის აგენტების შენახვაში, ან რაიმე ცნო-ბას მათ შესახებ მთავრობას არ აცნობებს-სასტიკათ იქნება დასჯილი.

15 ნოემბერს მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებულის და მისი თანაშემწის თანდასწრებით შეიკრიბნენ მთელი ოლქის გავლე

ნიანი პირები, თითო საზოგადოები-დან ორ-ორი წარმომადგენელი, ამ-თათბირს დაეწინაურა აგრე-თვე მეჯლისის თავმჯდომარე მემედ აბაშიძე, დამფუძნებელი კრების წე-ვი აიღარ აბაშიძე და ოსმან მი-ქელაძე. თათბირის მიზანი იყო სა-განგებო რწმუნებულისათვის გაცნო-ბა ოლქის მდგომარეობისა. ბჭობას ქონდა გულწრფელი და საქმიანი ხასიათი. ყველა დამსწრეებმა ერთ-ხმად განაცხადეს დიდი სურვილი აღ-მამუნებლობითი მუშაობის დაწყე-ბის შესახებ. გამოითქვა ის აზრი რომ, ამ ხანად ოლქი საქროებს გზების გაკეთებას და კოოპერატი-ვების მოწყობას.

ზემო აქარის წარმომადგენელმა განაცხადა: „გზების გასაკეთებლათ თავენ მოგვეციოთ ასათფეთქებელი მა-სალო და ინჟინერი, დანარჩენი ჩვენი იყოს ყველაფერი.“

მოისმინა რა ყოველივე, საგანგე-ბო რწმუნებულმა აღუთქვა შესაფე-რი დახმარების აღმოჩენა.

ნოემბრის 15 ქალაქის მოუ-რავი ბ-ნი გიგო ანჯაფარიძე განსა-კუთრებულ რწმუნებულთან იყო სა-დარბაზოდ.

ნოემბრის 15 ს-განსაკუთრე-ბული რწმუნებული ბ-ნი გრ. გიო-რგაძე ინახულა საბერძნეთის კონ-სულმა.

განსაკუთრებულ რაზმის უფ-როსი ბ-ნი კედია დროებით ბათო-მში დარჩა.

ბათომის ოლქის სახელმწი-ფო კონტროლმა მთავრობის განსა-კუთრებულ რწმუნებულ სთხოვა რომ ჯარში გაწვეული კონტროლის მოხე-ლენი როგორც საქმისთვის აუცი-ლებელი სპეციალობის მიხედვით მოვლენილ იქნან მასთან.

გუშინ განსაკუთრებულ რწმუ-ნებული ბ-ნი გრ. გიორგაძე სადარ-ბაზოდ იყო უცხო მისიების წარმო-მადგენლებთან.

გუშინ ქალაქში ატუსაღებდენ ისეთ პირებს, რომელთაც უკანასკნ-ელ გაწვევიო სამხედრო ბეგარაგებათ.

ოთხშაბათს 17 ნოემბერს, სალამოს 5 საათზე ბათომის საქალე-ბო გამზახის დარბაზში დანიშნუ-ლია ბათომისა და მისი ოლქის მასწავლებელთა საზოგადო კრება. დღიური წესრიგი: 1. მასწავლებე-ლთა ეკონომიური მდგომარეობა. 2. მასწავლებელთა კონფერენციაზე გაგზავნილ დელეგატის მოხსენება; 3. მომავალი მასწავლებელთა დე-ლეგატთა ყრილობა და დელეგა-ტის არჩევა; 4. შკოლის ავტონო-მია; 5. მიმდინარე საკითხები.

დანიშნა. კაპიტანი გერა-სიმე კუბრაშვილი განსაკუთრებულ რწმუნებულის განსაკუთრებულ მო-ნდობილებათა ობერ აფიცრათ დაი-ნიშნა.

კაფე რესტორან „პავლი-ონის“ პატრონი ნიხრზე ზედმეტ ფასში ვაჭრობისათვის და საგანგებო კომისარის დადგენილების დარღვე-ვისათვის დაჯარიმებულ იქნა-

შეცდომის გასწორება. ჩვე-ნი გაზ. №55-ის ქრონიკაში შეცდომა. შეგვეპარა: სწერია— ილაპარაკებს ბ-ნმა გ. გიორგაძემ და ბ. ჩიხვი-შვილმა, უნდა იყოს— ილაპარაკებს ბ-ნმა გ. გიორგაძემ და ბ. ჩიხვი-შვილმა-

### დაფუძნებული კრების მო- წოდება ქართული ხალ- ხისადმი.

საქართველოს ხალხო!  
ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილებ-  
ბის სისხლით მორწყულ საზღვრებს  
კვლავ ემუქრება თავზედი მტერი.  
უსაშინლესი ტანჯვით დაუძლე-  
ობით სომხეთი დიდის გაქირვებ-  
ით უწყვეს წინააღმდეგობას ქვეალ-  
ფაშის ბრბოებს: დაეცა ყარსი, სომ-  
ხეთის საუკეთესო სიმაგრე; ოსმა-  
ლებმა დაიჭირეს გუმბრი (ალექსან-  
დროპოლი).

სომხეთის უბედურება საფრთხეს  
უქმადებს საქართველოს თავისუფალ  
არსებობასაც.

ჩვენი ისტორიული მტრები, რ-  
მელთაც ქვეალ-ფაშა შეთაურობს,  
არ სცნობენ ჩვენ მიერ საბჭოთა რუ-  
სეთთა დადებულ ხელშეკრულობას,  
ვერ ურაცდებიან სამაჰმადიანო სა-  
ქართველოს ჩვენს საზღვრებში არსე-  
ბობას; ისინი მოხერხებულ დროს  
არჩვენ ჩვენზე თავდასხმისათვის.

მოსალოდნელია რომ სომხეთზე  
გამარჯვებით გათამამებული ქვეალ-  
ფაშა მთელი თავისი ძალებით  
ჩვენს შესამუსრავად გამოეშუროს.

ოსმალითა შიშველ-ტიტველი, დამ-  
შეული ბრბოები ოცნებობენ ჩვენი  
მშვიდობიანი ქალიქების გამარცხ-  
ებას; ჩვენი მშრომელი სოფლებიდან სარ-  
ჩო-საბადებელის გაზიდვის.

ოსმალებს ამხევენ 1918 წლის  
გამარჯვების ტკბილი მოგონება. სა-  
ქართველოში იმათ ბათობის დაცე-  
მის დროინდელი მოშლილი ჯარი  
და მოუწყობელი სახელმწიფო მუ-  
ღებთ.

შაგრამ თქვენ საქართველოს შვილ-

ნო, იცით, რომ ჩვენი ქვეყნის და-  
მოუკიდებელი არსებობის განმაგლო-  
ბაში არა ერთი მძიმე საფრთხე  
უნახავს ჩვენ ხალხს; არა ერთი სას-  
ტიკი ომი გადაუხდია.

და ყოველი დამარცხება გმირუ-  
ლად გადაუღობავს მას; პირადად  
გამოსულა უმძიმესი გასაჭირიდანაც  
კი. თქვენ იცით რომ მრავალ ბრ-  
ძოლაში გაიქცა ჩვენი ქვეყნის დამ-  
ცველი ჯარი და გვარდია, მრავალ  
განაცდელში გამოიჭედა ჩვენი სა-  
ხელმწიფოებრივი წყობილების სიმ-  
ტიკიცე...

იმ დროს, როცა სულ უფრო და  
უფრო დაბლა ეცემოდა დამარცხე-  
ბული ძველი ოსმალეთი, განახლე-  
ბული საქართველოს ძალა და სიმ-  
ტიკიცე იზრდებოდა დღით დღე

და თუ მტერი ვერ ამჩნევს ჩვენს  
სიმტიკიცეს, ის დაინახავს ამის, რო-  
ცა პირისპირ შეეტაკება ჩვენ სახე-  
ლოვან მეომრებს. მაშინ მოიგონებს  
ჩოლოქის ბრწყინვალე ბრძოლას,  
მოიგონებს ქართველი ხალხის ისტო-  
რიულ სიამაძეს და გაუტყველ ვა-  
ქაცობას.

ქართველო ხალხო!  
შენი თავისუფალი დემოკრატიუ-  
ლი სამშობლო ისევ განსაცდელშია  
და შენგან არჩეული დამფუძნებელი  
კრება კვლავ თავდაცვისათვის მოგი-  
წოდებს.

სამშობლო მრავალ გვარ მსხვერ-  
პლს მოითხოვს.

შემოკრებით თქვენი დამფუძნებელი  
კრების და მთავრობის ირგვლივ.

დაიცავით შიგნით წესიერება.  
სიყვარულით და მზრუნველობით  
მოეპყარით ჩვენს ფრონტს.

იქონიეთ შეუდრეკელი რწმენა  
მტრზე გამარჯვებისა და მაშინ სა-  
ხელოვანი იქნება ჩვენი ბრძოლა.  
ბრწყინვალე იქნება ჩვენი გამარჯვება.

და კერძოთ ყველა ზომები მივიღოთ  
სომეხ-ოსმალეთის ფრონტზე შექმ-  
ნილ მდგომარეობის შენელებისათვის  
სადაც მოკავშირეები ახალ ინტრიგი-  
სათვის გმზადებიანო.

## უცხოეთი.

შვეიცარიელი სოციალისტები და  
მ-მე ინტერნაციონალი.

სოციალისტური პარტის კონფე-  
რენციასე ოლტენში განხილული  
იქნა მოსკოვის კომუნისტური ინ-  
ტერნაციონალის 21 მუხლოვანი პი-  
რობები. ხანგრძლივი მსჯელობის  
შემდეგ მიღებული იქნა გრამის მე-  
ტი შემოტანილი რეზოლიუცია:

1. მოსკოვის პირობების 21 მუხ-  
ლი მიუღებელია.
  2. პარტიის გამგეობას და კომი-  
ტეტს ვეფლება კავშირი დაიჭიროს  
იმ პარტიებთან, რომლებიც შევი-  
დენ მეს-მე ინტერნაციონალში, მა-  
გრამ არ სურთ შეასრულონ მოსკო-  
ვის პირობები. ამ მოლაპარაკების  
დროს განხილული და შეცვლილი  
უნდა იქნას მესამე ინტერნაციონალ-  
ში შესვლის პირობები.
- 10 დეკემბრისათვის ბერნში და-  
ნიშნულია შვეიცარიის სოციალი-  
სტური პარტიის სასწრაფო თათბი-  
რი.

## უკრაინა.

ზრანგელი და უკრაინა.

რიგის გაზეთებში მოთავსებულია  
ინტერვიუ უკრაინის (პეტლოურას)  
მთავრობის შინაგან მინისტრ. სა-  
ლიკოვსკისთან. სალიკოვსკიმ ისე  
დაახასიათა ვრანგელი:

ვრანგელი—მეფის დროის ტიპი-

ური გენერალია. მისი პოლიტიკური  
სოფლ-მხედველობა, იქვი არ არის,  
უფრო კონსერვატიულია ვიდრე  
დენიკანის სოფლმხედველობა. მაგ-  
რამ ვრანგელი უფრო ჰქვიანი და  
გამოცდილია ის ეხლა ვარშოვზე და  
მოკრატისა. ვერავინ იქნება იმის  
თავდები, რომ თუ ვრანგელის მდგო-  
მარეობა გაუმჯობესდა, მისი პოლი-  
ტიკა მარჯვნივ არ გადაიხრება. სა-  
ნამ ვრანგელის მთელი ყურადღება  
ბოლშევიკურ ფრონტისკენ არის—  
ის არ არის საშიში უკრაინისათვის,  
სასარგებლოც არის. ჩვენ ვერ-ვე-  
რობით სიერთო მტერი გვყავს. თუ  
წინ გაიწია და ისევე მოაქცევა, რო-  
გორც დენიკანი, უეჭველია ისეთივე  
წინააღმდეგობას შეიხვედრებს უკ-  
რაინელ გლეხების მხრივ, როგორც  
დენიკანი და დავცემა.

## საბჭოთა რუსეთი.

გენ. პოლივანოვის ანდერძი.

გენ. პოლივანოვი, რომელიც  
მოულოდნელათ გარდაიცვალა პო-  
ლონეთ-რუსეთის საზავო მოლაპა-  
რაკების დროს რიგაში, ორი წელი-  
ლი დასტოვა, პირველ წერილში,  
სამხედრო-საისტორიო კომისიის თავ-  
მჯდომარის სახელზე, გენ. პოლივა-  
ნოვი ეხება თავის დაუშთავრებელ  
შრომას „სამხედრო სამინისტრო  
1916 წლის 13 ივლისიდან 1917  
წლის მარტამდე, ამ შრომას გენ.  
პოლივანოვი შეუდგა სამხედრო-სა-  
ისტორიო კომისიის დავალებით.  
გენ. სხხოვს კომისიის სისტემატი-  
ურად დაწყობილი და დალაგებული  
მასალების, რომელიც ეხება პერი-  
ოდს 1905—1918 წლებში, პონო-  
რარი გადაეცეს ნადეჟდა ნიკოლო-  
ვის ასულს პოლივანოვის პეტრო-  
გრადაში. წერილი თავდება თხო-  
ვით კომისიის სახელზე შეიძინოს  
დიდი ისტორიული მნიშვნელობის  
სხვა და სხვა სამხედრო მწერლების  
ფაქსიმოლები და მთავარი შტაბის  
ბიბლიოთეკა-ფოტოგრაფიები.

მეორე წერილში გენ. პოლივა-  
ნოვი სურვილს გამოსთქვამს, რომ  
მისი გვამი ჩადებული იქნას ლითო-  
ნის კუბოში და განზანის და მართ-  
მადიდებელის წესების შესრულების  
შემდეგ გაიგზავნოს პეტროგრადაში.  
გლებთა აჯანყებები.

მოსკოვის გაზეთების ცნობებით,  
ვოლგს განაპირა რაიონებში გლე-  
ხთა აჯანყებები მოხდა. აჯანყებუ-  
ლებმა დასწვეს ნავთით სავსე ბარა-  
კები.

## ახალგაზრდა მარქსისტთა შორის.

შაბათს 13 ნოემბერს ქართული  
სკოლის შენობაში შედგა ბათუმის  
ახალგაზრდა მარქსისტთა საზოგადო-  
კრება აკ. ანდლულაძის თავმჯდო-  
მარობით, მდივანთ არჩეულ იქნა  
თ. ლლონტი. საერთაშორისო მუ-  
შათა მოძრაობის და მიმდინარე მო-  
მენტის შესახებ მოხსენება გააკეთა  
საქ. ახალ. მარქსისტთა ორგანიზა-  
ციების ცენტრალური კომიტეტის  
წევრმა ე. წულაძემ. მოხსენების  
შემდეგ იყო შეკითხვები, რომელზე-  
დაც მოხსენებელმა პასუხი გასცა.  
კომიტეტის მუშაობის შესახებ მოხ-  
სენება გააკეთა აკ. ანდლულაძემ,  
რომელმაც კომიტეტის მთელი მუ-  
შაობა სამ პერიოდს გაყო. პირ-  
ველი პერიოდი—ინგლისელების ოკუ-  
პაციის ხანა, როცა პოლიციელთა  
თვალყურის დევნება ძლიერ უშლი-  
და ხელს კომიტეტის მუშაობას.  
კომიტეტს არ ქონდა საშვალება  
მუშაობაში ორგანიზაციის ყველა  
წევრები ჩაება, რადგან არ იყო შე-  
საფერი პირობები: ბინა, შეკრების

თავისუფლება და სხვა. მოხსენებელი  
მიტეტმა იმ ხანათ მარქსისტებმა  
მანაც გააკეთა: ისარგებლა ევროპა-  
ში უმაღლესი სწავლის მისაღებათ  
გამგზავრებულ ამხანაგების ბათუმში  
ყოფნით და რამდენიმე მოხსენება  
მოაწყო, რომელსაც 60—100 წევ-  
რამდე დაესწრო, შემდეგ გაიმართა  
მთელი რიგი გ. აიოლოს მოხსენებე-  
ბისა, კვირაში ორჯერ, სხვა და სხვა  
ადგილებში ხან ერთი და ხან მეო-  
რე ამხანაგის ბინაზე, მოხსენებებს  
სისტემატიურად ესწრებოდენ 40  
ამხანაგები, ამ მხრივ კომიტეტმა  
ყოველი შესაძლებლობა ამოსწურა.

მეორე პერიოდი—როცა ინგლისე-  
ლების რეპრესიების გამო ყოველ-  
გვარი მეცადინეობა შეუძლებელი  
გახდა, მეორე მხრით კომუნისტებმა  
გაეძლიერეს თავისი აგიტაცია და  
მთელი თავისი მუშაობა პროფ. კავ-  
შირებში გადაიტანეს. ეს აგიტაცია  
სავსებით მამართული იყო ჩვენი რეს-  
პუბლიკის წინააღმდეგ. სოც.-დემ.  
პარტიის ბათუმის კომიტეტის გან-  
კარგულებაში მარქსისტთა კომიტე-  
ტმა 10 პასუხისმგებელი ამხანაგი  
გაგზავნა პარტიაში და პროფ. კავ-  
შირებში სამუშაოდ. განსაკუთრე-  
ბით ნაყოფიერით უნდა ჩაითვალოს  
პროფ. კავშირებში მომუშავე ამხა-  
ნაგების შრომა, მოკლე ხანში მათ  
შექმნეს რამდენიმე ახალი პროფ.  
კავშირი, ალაღვინეს დანგრეულები,  
და ზოგიერთ კავშირებში, სადაც  
უმრავლესობა მოწინააღმდეგებს ეკუ-  
თვნოდა, ჩვენს ხელში გადამოვიდა.  
ამ მუშაობით ორგანიზაციაში მრავალი  
ახალგაზრდა მუშები შემოვი-  
და.

მესამე პერიოდი—შემოდგომა, რო-  
ცა კომიტეტმა მოინდომა მუშაობის  
განახლება და გაძლიერება, მაგრამ  
წევრთა გულგრილობის გამო ვერ  
მოახერხა საქმის სათანადოდ დაყე-  
ნება.

მოხსენებამ ცხარე კამათი გამო-  
იწვია, მაგრამ როგორც კამათიდან  
გამოიჩქვა, კომიტეტის მუშაობა  
ასეთ მძიმე ატმოსფერაში და პირო-  
ბებში ნაყოფიერად უნდა ჩაითვა-  
ლოს.

დასასრულ არჩეული იქნა ახალი  
კომიტეტი: 1) ა. უჩანეიშვილი (ერ-  
თხმად), თ. ლლონტი, ვ. სულაქვე-  
ლიძე, შ. ფირცხალავა, ვ. ხომერი-  
კი, შ. ჯანბერიძე.

კომიტეტის თავმჯდომარეთ საზო-  
გადო კრებამ აირჩია ე. წულაძე.

იმავე დღეს შედგა ახალი კომი-  
ტეტის სხდომა, რომელზედაც არ-  
ჩეულ იქნა პრეზიდიუმი: თავმჯდო-  
მარის ამხანაგათ შ. ფირცხალავა,  
მდივანთ შ. ჯანბერიძე და ხაზინად-  
რათ თ. ლლონტი.

ახალმა კომიტეტმა საზოგადო  
კრების დავალებით შემდეგი მისალ-  
მებითი დებეშები გაგზავნა:

1) კ. კაუცკის, ბათუმის მარქსის-  
ტული ახალგაზრდობა მხურვალედ  
მოგესალმება საერთაშორისო დე-  
მოკრატის ბელადს. ვამყობთ, რომ  
ვართ შვილები იმ დემოკრატიის,  
რომლის გმირულმა ბრძოლამ სა-  
შვალება მოგვცა მოხუცო მასწავლე-  
ბელო ჩვენს მიწა წყალზე მყოფი  
გვეხილე. გისურვებთ დღევრძელო-  
ბას მსოფლიო დემოკრატიის საკე-  
თილდეთათ.

2) ნოე ნიკოლოზისძე ეორ-  
დანას. საქართველოს დემო-  
კრატიის ძვირფას მასწავლებელ-  
მხურვალედ ესალმება ბათუმისმარქსის-  
ტული ახალგაზრდობა. გისურვებთ  
ჯანმრთელობას და დღევრძელობას.  
ღრმად გვწამს, რომ ჩვენი გმირი დემო-  
კრატია თქვენი ბრძნული ხელმძღვანე-  
ლოით უვნებლათ გამოავა ყველა

## სხვა და სხვა ამბები.

ბოლშევიკების ელჩი.  
რიგაში ჩავიდა ლატვიაში საბჭო-  
თა რუსეთის ელჩად დანიშნული  
განეცკი (ფიფურსტენბერგი), რომელ-  
მაც ლატვის მთავრობას მოსთხოვა  
დაეხურა ყველა ის გაზეთები, რომ-  
ლებიც „კულდათ“ იხსენიებენ საბ-  
ჭოთა მთავრობას, ლატვის შინაგან  
საქმეთა მინისტრმა კატეგორიული  
უარი უთხრა. განეცკი დაიმოქრა,  
რომ რუსეთი თავს დაიჭერს ლატ-  
ვისთან სავაჭრო ურთიერთობის  
ილდგენაშიო.

## საბჭოთა პოლიტიკა ალ- მოსავლეთში.

გაზ. „პონედელნიკი“ იუწყება:  
ფრიალ სარწმუნო წყაროებიდან  
ჩვენ გვატყობინებენ, რომ ლენინმა სა-  
აღხო კომისართა საბჭოს უკანასკნელ  
სხდომაზე აუცილებლათ სცნო რუ-  
სეთის განაპირა რესპუბლიკებთან  
და კერძოთ საქართველოსთან ნამდ-  
ვილი ზავის ჩამოგდება მოსკოვიდან  
ბაქოში გამოგზავნილ ჯულაშვილ-  
სტალინს ამ მხრივ სათანადო დი-  
რექტივები მიეცა.

ამასთანავე იუწყებიან, რომ ბუ-  
ხარინის და დზერჟინსკის მიერ  
შემოტანილ რეზოლიუციის შავი-  
რათ, რომელშიც ისინი მოითხოვდნენ.  
საბჭოთა მთავრობის მხრივ აქტიურ  
პოლიტიკას აღმოსავლეთში და კერ-  
ძოთ აფგანისტანში, ლენინმა ზო-  
მიერო რეზოლიუცია შეიტანა,  
რომელშიც აფრთხილებდა ურს  
პოლიტიკის წარმოების მომხრეებს.  
ვრანგელის ლიკვიდაციის ამოც-  
ნები და აღმოსავლეთში ბატონო-  
ბისათვის მებრძოლ ძალების მეტო-  
ქეობა, განაცხადა ლენინმა, გვავა-  
ლებს ჩვენ ვერიდოთ ასეთ ნაბიჯებს



განსაცდელიდან და მის ვერ შეეშინებოდა ვერც მოსკოვის წითელი რევოლუცია და ვერც ანგორელი ბარბაროსები.

3) საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების ცენტრ. კომიტეტს. საზოგადო კრების დაგეგმვით გესალმებით საქართველოს მარქსისტულ ახალგაზრდობის ხელმძღვანელ ორგანოს, ვისურვებთ ნაკლებად მუშაობას.

**გუშათა მსოფრთველი**

საბაქოს მუშა-მოსამსახურეთა შორის, კვირას 14 ნოემბრის მუშათა მადიდის პირველ სასაიდლოს ბინაზე მიღვა ბათუმის საბაქოს მოსამსახურეთა საზოგადო კრება. კრებას დაესწრო კავშირის მხოლოდ 36 წევრი, მაგრამ რადგან მეორეთ იყო მოწვეული კანონიერათ ჩიითვალა. კრების თავმჯდომარეთ აირჩიეს თ. ჩახვაძე, მდივნათ ილი, საბაშვილი. გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები: 1) გამგეობის მოხსენება, 2) მოსამსახურეთა დათხოვნა და ახლების მიღება, 3) მოსამსახურეთათვის სახაზინო შენობაში ბინების მიცემა, 4) ჩამორთმეული ნავთის შესახებ, 5) ჯამაგირების თავის დროზე მიღების საკითხი, მიღება 1/3, დამატებისა, მიღება შემოს, ნავთისა და სხვ., 6) არჩევა პროფ. კავშირის ახალი გამგეობისა და სასაიდლოს გამგეობისა.

გამგეობის სახელით მოხსენებას აკეთებს თ. ჩახვაძე, რომელიც მწუხარებით აღნიშნავს, რომ კავშირის გამგეობასა და ადმინისტრაციას შორის არ იყო თანამშრომლობა, ადმინისტრაცია არავითარ ანგარიშს არ

**ლაზისტანი.\*)**

გონივს ცოტათი რომ გასცილდებით, დაინახეთ ერთ მაღალ მთას, სახელად „სულთან სელიმს“. შემდგომ შეგვხვდებით სოფელი: „ორთა ხობე“-ასფეროს მდინარის პირზედ. ამ მდინარის წყლის სახელს იხსენიებს ცნობილი რომაელი ისტორიკოსი არიანო. ძველად ამ მდინარეს ერქვა სახელად „აფსირთოს“, პატივსაცემად და მოსახსენებლად კოლხიდის მეფის აგტის შვილისა, რომელსაც ერქვა სახელად აფსირთოს. ამას ამტკიცებენ ცნობილი ისტორიკები: სტეფანე ბიზანტიელი, პლინი და პროკოპი კესარიელი. საჭიროდ ესცნობ ამ მდინარის სახელწოდების შესახებ მკითხველებს ვრცელი განმარტება მივსცე: როდესაც ბერძნას გვირმა იაზონმა მოხიბლა თავის მამაკობით და მშვენიერებით კოლხიდის მეფის ასული—მედეია, მაშინ ამ მიჯნურებმა გადასწყვიტეს ჩუმათ გაპარვა საბერძნეთში, თუმცა შიში ქონდათ, რომ თუმც შეიტყობს აგტი მათ გაპარვას, მაშინვე მოინდომებს მათ დიქერას ზღვაში და სიკვდილით დასჯის მათ.

მედეია მისანმა სთხოვა იაზონს, რომ მისი ძმა აფსირთოსიც ჩაესვა გემში. იაზონმა არ იცოდა, რა სარჩული ჰქონდა ამგვარ თხოვნას, მაგრამ მედეამ აგრე გადასწყვიტა თავის გულში:

— თუ მამაჩემი თავის მსწრაფლ მსღველ ხომალდებთ გამოგვეკიდება უთუოდ დაგვეწევა და სიკვდილს მიგვცემს. აი ამისათვის, როცა დავინახავ მის ხომალდებს, მაშინ დავეკევი მას ნაწილ ნაწილად და

\* ) იხ. „ბათ. ფურც.“ № 51, 52,

სამაზრო სახლი  
**კმ. სისაშვლავი და ახს. ნატურალური კონსტრუქციის**  
შერემეტევის ქ. № 74.

**კავშირის ურთიერთობის**  
**ნატურალური კონსტრუქციის**  
ვაკრობა ბითუმით, ბოქვებით და ბოთლობით.

**„რ ე კ ო რ დ ი“**

საუკეთესოდ გაწმენილი „სავალის“ აპარატებით  
უ რ ძ ნ ი ს ა რ ა შ ი.

ხ ი ლ ი ს ა რ ა შ ი („ზ ა შ ა ი“)

ახლად დამზადებული ახალი ღვინიდან. სიყალბის და მიბაძვის თავიდან ასაცილებლათ ფირმა სთხოვს ყველა მომხმარებელთ, წითხოვან ბოთლები, რომლებზეც ქარხნის ბეჭედი პრობკაზე მთელია.

უწევდა კავშირის გამგეობას და ზოგჯერ ხელსაც უშლიდა. კავშირის წევრათ ითვლება 131 კაცი, რომელთაც გადაუხდიათ ერთდროული გადასახადი 6330 შ., რომელთაგან ნახევარი გადაეგზავნა ცენტრალურ გამგეობას. მეორე კითხვის გერჩევის დროს გამოირკვა, რომ საბაქოში მოხდა შტატების შემოკლება, დაითხოვეს მოსამსახურეები და რამდენიმე ხნის შემდეგ მათ ადგილზე ახლები მიიღეს. ამ საკითხზე კამათის დროს გამოირკვა, რომ მოსამსახურეთა დათხოვნის დროს სრულიად არ უკითხავთ კავშირის აზრი და ამის გამო დათხოვნილთა შორის მოხდა მრავალი გამოცდილი, კეთილსინდისიერი და საიმედო პიროვნება, დათხოვნილთა შორის არის მრავალი გვარდიელიც, რაც ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს გვარდიელებს იშორებდნენ. ყველა ეს კრებამ დაუშვებლათ და შეუწყნარებლად სცნო და საყვედურს გამოსთქვამს იმ პირ-

ვარდისრვი ზღვის ზურგზედ. სანამ მამა შეკრებს გადაგდებულ ნაწილებსა და დასაფლავებს ხმელეთზედ, ჩვენი ხომალდი დიდ მანძილზე გვივლის, სამშვიდობოს გავალთ და ამით ვიხსნით ჩვენ თავისა“

მართლაც, როგორც მედეია ფიქრობდა ისევე მოხდა ყოველივე და მწუხარე კოლხიდის მეფე აგტი აძულებულ იყო დაესაფლავებია თავისი საყვარელი მეძვიდრე იქ, სადაც ეხლა გადის ასფეროს მდინარე.

მაგრამ მედეიას ბოროტმოქმედება არ დარჩენილა დაუსჯელად. იაზონმა მართალია დაპირებისამებრ ცოლად შეირთო მედეია, მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ განაგდო თავისი ცოლი და შეირთო კორინთელი მეფის ასული.

არც იაზონს შერჩენია ეს ღალატე, რადგან მედეიამ მოწამლა იაზონის საყვარელი ცოლი და შემდეგ გამოიქცა კოლხიდაში. აქ ის დიდხანს არ დარჩენილა, პირველად მოხუც მის მამას დაუბრუნა საკუთარის ძმის—მეფე წართმეული ტახტი და შემდეგ განვიდა ირანის მხარეთ და იქ დაარსა მიდიის სამეფო.

ეხლა შევიდეთ ხობის სოფელში. ჩვენ არ შეგვიძლია გადაჭრით—ვთქვათ, საიდგან წარმოდგა ხობის სახელი: ბერძნულ, თუ მეგრულ, ანუ აფხაზურ ენიდან. ეს ვიცით, რომ სამეგრელოში არის ერთი სოფელი, სახელით „ხობი“ აფხაზეთში არის კიდევ იმ სახელით ერთი სოფელი. საზოგადოდ, მეგრულ და ლაზურ ენაზედ „ხობი“ ნიშნავს ნიჩაბს.

კ. მამაჰარაძე.

(შემდეგი იქნება.)

თა მიმართ ვინც ეს ჩაიდინეს, კრება ავალებს გამგეობას სასტიკი თვალყური აღედგოს ასეთ მოვლენებს. ბინების შესახებ მსჯელობის დროს გამოირკვა, რომ საბაქოს ადმინისტრაციას მეტად უსამართლოდ დაუნაწილებია ბინები სახაზინო შენობაში. ზოგს მეტი აქვს ოთახი ვიდრე სჭირია, ზოგი კი სულ უბინოთ დარჩენილა. კრებამ დაავალა გამგეობას გამოარკვიოს ბინის საქმე და ბინების კანონიერათ განაწილების მოთხოვნა.

დიდი კამათი გამოიწვია ნავთის ისტორიამ: ვაჭარ ჩაიბიბიას ნება ქონდა ვაეტანა რესპუბლიკის საზღვრებიდან 2000 ფ. ნავთი, მან გემზე დათვირთა 700 ფუთით მეტი, ეს ამბავი შემდეგ გაიგვს, ჩაიბიბიას ზედმეტი ნავთი გადმოატვირთვიეს და დააჯარიმეს. ამ „კაბერაკიებიდან“ რამდენიმე მოხელეს 80-100 ათასი მანეთი ერგო. კრებამ განცვიფრება გამოსთქვა თუ როგორ შეიძლება ამდენი ნავთის ჩუმით დატვირთვა და თუ რომელიმე მოხელემ ქრთამი იიღო და ზედმეტი ნავთი ჩუმად გააბარა დამნაშავე დღემდე სადარის.

კრება ავალებს გამგეობას გამოიძიოს ეს ძნელი ისტორია, საშუაროზე გამოიყენოს დამნაშავენი და სამარცხვინო ბოძზე გააკრას დემოკრატიის ინტერესებით მოვაჭრენი, რათა ამის საშუალება მიეცეს საბაქოს პატროსან მუშა-მოსამსახურებს მოიშორონ ეს სამარცხვინო ლაქა.

კრებამ საჭიროდ სცნო ერთი მოხელე სრულიად განთავისუფლებული იქნეს თავისი პირდაპირი მოვალეობისაგან ჯამაგირის და თანამდებობის შენახვით, რათა საშუალება მიეცეს გამგეობას ყოველდღიურ იზრუნოს მუშა-მოსამსახურთა საქმეო სგნებით დროულად დაემაყოფილებათ. მისი მოვალეობის შესრულება კი უნდა იკისრონ დანარჩენმა ამხანაგებმა. კრება ამ საქმისათვის ერთხმად ათავისუფლებს თ. ჩახვაძეს.

კავშირის ახალ გამგეობაში არჩეული იქნენ: თავმჯდომარეთ თ. ჩახვაძე, მისი ამხანაგი ვ. ქანთარია, მდივანი კ ხოშტარია, ხაზინადარი

ერ. ყუფარაძე, ორგანიზატორი ვე. ცერცვაძე, კანდიდატებთ ა. საბაშვილი და ნ. ელიავა.

31888.

**გათოჯის გუშათა გახილი-საგან.**

„ომი არ დაწყებულა, მაგრამ უკვე არის ომი. ყოველივე ფრონტისათვის. 8. ჯულაღი.“

საყვარელი ჩვენი გვარდის ბელოდი მოგვიწოდებს ყოველი ჩვენი საქციელი მივმართოთ იქით, რომ მოსალოდნელი ომი ჩვენი იარაღის გაპარჯვებით გათავდეს.

ამ მოწოდებაში მართა თოფის აღებას და ფრონტზე წასვლას კი არ გულისხმობს, არამედ ყველა იმას, რაც კი ხელს შეუწყობს მას. ერთ ესეთ ხელშემწყობ საშუალებად მუშათა მაგიდას მიაჩნია შინ—სახლში მომჭირნეობა—რაც შეიძლება ნაკლები სურსათ სანოვავის დახარჯვა.

გამოდის რა იმ მოსაზრებიდან, 20-ნომბრიდან მუშათა მაგიდის სასაიდლოებში მოსაიდლები მიიღებენ ერთ კერძიან სადილს, ორ კერძიანის მაგიერათ, 30 მანეთად სადილს. ეყრდნობა რა ჩვენი დემოკრატიის მოვალეობის შეგნებაზე, მუშათა მაგიდა ფიქრობს, რომ ასეთი რამ ჩვენი დემოკრატიის მიერ აღიარებული იქნება აუცილებელ მისაღებ და მოსაწონ ზომათ ფრონტის გამაგრების საქმეში.

მუშათა მაგიდა.

სარედაქციო კოლეგია.

**დაიკარგა**

სომხეთის საკონსულოდან მოცემული პირადობის სურათიანი მოწმობა გვიანარი ალექსანდრეს-ძე ჯანიბეგის სახელზე. ჩიითვალოს გაუქმებულათ.

**გამურელიძის სირკი.**

ოთხშაბათი 16 ნოემბერს

**გრანდიოზული წარმოდგენა. განსაკუთრებული № №**

მონაწილეობენ საუკეთესო ძალები. კიდაობს 3 წყვილი.

- 1. კარა-უსუფი—ზაგორთუკოს წინააღმდეგ.
- 2. ს.ნ.დაროვი—ჯან-დევ-კოლონის წინააღმდეგ.
- 3. უცნობი—ტომ სავრის წინააღმდეგ.

21 ნომბერს ორი წარმოდგენა:

**ღღისით გავშვითა დილა.**

ონონსი: 18 ნომბერს გაიმართება კომიკების ნატოა და ნადის ბენეფისი.

